

572  
1960

საქართველოს  
საბავშვო



**დედა**

საბავშვო, სასაბავშვო პრობლემებსა და  
ს. ი. ცხელიძის საბავშვო ჟურნალის  
რედაქციის მიერ გამოსული

№ 7

ივლისი  
1960

საბავშვო  
საბავშვო

ლენინგრაღში 106-ე სკოლის ერთ-ერთ კლასზე ახეთ წარწერას ნახავთ: „აქ ზველობდა გმირი პარტიზანი ლარია მიხეენკო“.

1941 წლის ზაფხულში ლარა ბებიას ესტუმრა სოფელში. აქ მოუხსრო მას იმმა და 14 წლის პიონერი პარტიზანულ რაზმში ჩაუწერა. 1943 წლის ნოემბერში ლარა დავალების შესახარულებლად წავიდა და აღარ დაბრუნდა.... ნორჩი პარტიზანი გმირულად დაიღუპა.

ამ მოთხრობაში აღწერილია ერთი დღე ლარას ცხოვრებიდან.



## 5. ნაღველინა

ერთხელ პატარა მზვერავები პარტიზანების დავალებით მოროზოვოში უნდა გამძვრალიყვენენ, მაგრამ სოფელ ტიმონოვოზე გავლისას გერმანელმა პატარულმა დააკავა.

გოგონები კარგად იცნობდნენ იმ სახლს, სადაც ისინი მიიყვანეს: აღრე იქ ქობ-სამკითხველო იყო, ახლა კი დონიჯ-შემოყრილი დიასახლისი, განკულაკებული ანტონ იურიინის ცოლი გამოეგებათ.



ნახატები ლაპარა ლენელიანი

— თქვენ ხომ პეჩენეველი ლარკა რაიკა ხართ? რისთვის მობრძანებ ულ ხართ? წიგნების წაკითხვა მოგინდათ?

— ჩვენ ქირაზე დავდივართ, ქვევის სამკეულად.

— მაშ, მოსამკეულად, არა? რასაც დასთეს, იმას მოიმიკი... ეს თქვენი სამკითხველო ნულარ გგონიათ. აქ ისევ ჩემი საკუთარი სახლია.

იურიინის ცოლი მთელი ღამე კულიანივით დარაჯობდა დამწყვდეულ გოგონებს. როცა ირიჟრავა, ადგა და ძროხის მოსაწველად წავიდა. მალე ბოსლიდან დიასახლისის ხმა გაისმა, თავის ფურს უწყურებოდა, — წყნარად იღეჭიო. შხ-შხ! — შხუილით ჩადიოდა კასრში რძის თბილი ნაკადი. გარეთ

რა შეუდრეკელი და გამბედავი გოგონა იყო. აი, ახლაც ლელიანში რომ მიძვრებოდნენ, ერთი წუთითაც არ ჩამორჩენია მასზე უფროს რაიას. სველი კაბები სიარულს უშლიდათ, თანაც შესცივდათ. შიმშილისა და უძილობისაგან თვალები უბნელდებოდათ.

— შეგცივდა? — ჰკითხა რაიამ.

— არა, არ მცივა, — უპასუხა ლარამ, თუმცა კბილს კბილზე აციმინებდა.



ისევ სინუმე იდგა. მხოლოდ გუშაგი დადიოდა სახლის წინ.

ამ დროს სახლის უკანა ფანჯარა გაიღო, იქიდან გოგონები ბაღში გადაბტნენ, ბოსტანი გადაირბინეს და გაუხდელად პირდაპირ მდინარეში გადაკვიდნენ. ლარამ პირველმა გასცურა მდინარე, ხელი გაუწოდა რაიას და ორივე ხშირ ლელიანში მიიმალა.

ლარა ყველაზე უმცროსი იყო პარტიზანულ რაზმში. მას არც კი ლებულობდნენ პირველად, პატარა ხარამგარამ პარტიზანები მალე დარწმუნდნენ,

გოგონები პეჩენეც მიუახლოვდნენ. იქ ლარას ბებია და რაიას დედა ცხოვრობდნენ.

— მოდი, დედასთან შევეუხვიოთ, სხვაგან აბა სად შევაფარებთ თავს, — თქვა რაიამ.

მის სახლთან ქვაკი ჯერ მოუმკელი იყო და შიგ ვავლისას ვერავინ დაინახავდათ. როდესაც გოგონები მწყურბვივით ამოფრინდნენ ქვაკიდან, რაიას დედამ შიძიმედ ამოიოხრა. წინათ თუ ლამაზმო-

ბით შეიპარებოდნენ შინ, ახლა დღისით-  
მზისით გამოცხადდნენ, ამოწუწულები  
და ქუქუიანები...

— რაღა ვქნა, სად დავმალვით ახლა?..

ზამთრობით იატაკის ქვეშ სარდაფში  
კარტოფილი ინახებოდა, ახლა კი ცარიე-  
ლი იყო. ლარამ მყისვე მოიფიქრა, რო-  
გორ ამოშვარებოდნენ ბოძებს ბნელ სარ-  
დაფში:

— რაია, კალთა მუხლებში შეიკეცე,  
თმა აიწიე და არ გაინძრე!

ის იყო ლარაც დაიმალა, რომ ჯარის-  
კაცების ჩეკმების ბრაზუნი მოისმა.



მეგობარი რომ ვაგემხნევებინა, ლარამ  
გაუღიმა, თუმცა გული ძალზე უცემდა.  
ფეხის ხმა მოახლოვდა... სარდაფში ჩასა-  
ძვრენი კარი ხმაურით გადიხსნა და  
ხერგელში ორმა გერმანელმა ჯარისკაცმა  
ჩაიხედა.

— დედაკაცო, ჩქარა კიბე! თორემ  
აქ კაცი ფეხს მოიტეხს,—დაიღრიალა  
ერთმა.

რაიას დედამ უპასუხა, კიბე არა მაქვს,  
უნდა ჩაბტეთო.

— შენ ჩაბტი, თუ გინდა, ჩვენ ისე-  
დაც დავინახავთ,—თქვა იმავე ხმამ და  
ჯიბის ფარინის ყვითელმა შუქმა მიწურ  
იატაკზე ივლივა. ჯერ თითოეული კუნჭუ-  
ლი მოსინჯა. მერე ჭერზე შეფრინდა და  
ისევ იატაკზე დაეშვა. აი, საცა ბოძების  
ძირსაც მივპარება. ლარამ დაინახა, რო-  
გორ გაუნათდა რაიას თმა და უნებურად  
თვალები დახუჭა... შუქი ვლევასავით და-  
ნავარდობდა ბოძებს შუა. მაგრამ სულ-  
განახული ვოგონები არ განძრეულან.  
მალე სარდაფში ისევ სიბნელე და სიწყ-  
ყნარე გამეფდა. მხოლოდ ახლა იგრძნეს  
ბავშვებმა, რომ ფეხები აღარ ემორჩი-  
ლებოდათ და ხმაამოუღებლივ ჩაიკე-  
ცეს. ჩახუტებულებს დაბინდებამდე ეძი-  
ნათ მიწურ იატაკზე.

სალამოს ღია სარკმელთან მარტოდ-  
მარტო იჯდა ლარას ბებია და შეილი-  
შვილზე ფიქრობდა: ნეტავ სად არის  
ახლა ჩემი ლარუშა, ალბათ შორს იქნე-  
ბო... ლარა და რაია კი ამ დროს იმ  
სოფლიდან მიიპარებოდნენ. სულ ახლოს  
იყო ბებიასთან, მაგრამ ნახვა არ შეეძ-  
ლო...

„როგორ ცხოვრობ, ჩემო ბებიეო?—  
ფიქრობდა ლარა,—ეინ მოგიტანს ფიჩხს?  
რომ იცოდეს, როგორ მომენატრე...“

შორს დარჩა პენენვის აქა-იქ მოკი-  
აფე სინათლე. მზვერავები მორაოზოვო-  
საკენ მიდიოდნენ. რახან არ დაკავეს და  
ცოცხლები გადარჩნენ, დავალება უნდა  
შეესრულებინათ!

თარგმანი ნ. ნოზაძისა



# მერაბი

ჯანსაღ ნიჟარაძე

მერაბიკო, მერაბი  
 ჯერ შვიდი თვის არც არის,  
 ორი თეთრი კიკი აქვს,  
 როგორც ფეტვის მარცვალი.  
 გათენდება თუ არა,  
 თვალებს ახელს ციმციმით,  
 ხან მტრედევით ლულუნებს,  
 ხან კი გულით იცინის.  
 მაგრამ თუკი ატირდა,  
 ტირილს როღი ათავებს,  
 აი, ახლაც ბებიას  
 გაუტუნა სათვადე.  
 თქვენ გგონიათ, შუწუნდა  
 ან დაიწვა სირცხვილით?  
 თითქოს არაფერია,  
 იცინის და იცინის!

# მეზეკაპი

ჯანსაღ ჩაქავანი

თამაშობა განაღდა,  
 სასა გადის უხაღდა,  
 კიკი არის მსვერზავი,  
 ჯერ აჯობებს ჯიზავინ.  
 ცხენიც ჰევის და  
 თოფიც აქვს—  
 გამოდგება თოფცრად.  
 აბა, ჩქარა, ბიჭებო,  
 უქმად ეოთნით არ გავცდეთ.  
 სულ ერთია, დაუიჭერთ,  
 თლონდ უსოს არ გასცდეს!



# ვიზღას ღაჩი

გარიშ ხათასი

ვერ ისვენებს გიგლა ბიკი,  
 აღარ მოსდის ძილი,  
 სასთუმალქვეშ დაუმადავს  
 მოზარული თხილი.  
 ველარც შექმა მოახერხა,  
 ვერც სხვას უნაწილა,  
 და ნატრულობს, ნეტავ როღის  
 გათენდება დილა.  
 ვერ იძინებს, მაგრამ იციო,  
 მას რისი აქვს შიში?  
 ქურდბაცაცა თავუნიაშ  
 არ მოზაროს ძილში.







# მეგობარი მასწავლებელი

ლიბიბრი იოვახიმი ნახატი ზ. თოთიბაძისა

ერთხელ პატარა მაგდა მეფრინველეობის ფერმაში წაიყვანეს. იქ ნახა, როგორ უვლიან ქათმებს.

— გავიზრდები და მექათმე ვიქნები, — გადაწყვიტა მაგდამ შინ დაბრუნებისას.

მერე ჩაის პლანტაციასი წაიყვანა დედამ. იქ ღიდრონ ბუჩქებს თავს ევლებოდნენ ქა-

ლები და ჩაის მწვანე ფოთლებს ჰკრეფდნენ. წამოვიზრდები, ჩაის კრეფას ვისწავლი, მოკრეფ ბევრს და ყველა კალათას გავაგებო, — ფიქრობდა მაგდა.

მამიდა ასინათი კოლმეურნეობის მეველე იყო; ბალ-ვენახებს, ყანებს იცავდა და საქონელს შიგ არ უშვებდა. მაგდა ამ საქმესაც გაეცნო და ჯოხით ხელში დადიოდა მამიდასთან ერთად ყანებისა და ბაღების ნაპირ-ნაპირ. როგორც კი შიგ შეპარულ პირუტყვს დაინახავდა, გამოედევნებოდა: ვითომ ყანისაკენ რომ მოაბოტებ, აქ მეველეს ვერა მხედავო?

კოლმეურნეები ამბობდნენ: — შეხე ჩვეს მაგდას? ნამდვილი მეველე გაგვიბოდაო. — და «პატარა მეველე» შეარქვეს კიდევ.

მაგდა სკოლაში მიიყვანეს. იქ ისწავლა წერა-კითხვა. მისი ოცნება ახლა უკვე მასწავლებლობა იყო. აი, ღიდი რომ იქნება, მასწავლებელივით ბევრი, ბევრი მოსწავლე ეყოლება. შევა კლასში, იტყვის: «გამარჯობათ, ბავშვებო, დასხედით»... მერე მერხებს ჩამოუვლის, ძველ გაკვეთილს გამოიკითხავს, ახალს აუხსნის...



ერთხელ ამ ფიქრებში იყო, რომ ბაბუა თედორემ შემოაღო კარი.

— რაზე ჩაფიქრებულხარ, ჩემო მეველე? — ჰკითხა მაგდას.

— მე მეველე აღარა ვარ, მასწავლებელი უნდა გამოვიდე.

— ოჰო! ესეც ახალი ამბავი, — გაკვირვებით თქვა ბაბუამ.

— არ ვხუმრობ, — ეწყინა მაგდას, — შემიძლია შენც გასწავლო... შენ ხომ არც კითხვა იცი და არც წერა?

მაგდა მართალი იყო; მისმა ბაბუამ, კოლმეურნეობის თეთრწვერა მჭედელმა, შეიძლება ითქვას, ერთადერთმა არ იცოდა წერა-კითხვა მთელ სოფელში.

— რა დროს ჩემი სწავლა, — ამბობდა ის, — დრო სადა მაქვს? მთელი დღეობით კოლმეურნეობის მანქანა-იარაღებს ვაფოლადებ, საღამოს შვილიშვილს უნდა მივხედო, გათამაშო და გავართო.

ახლა ეს შვილიშვილი სკამზე შემდგარიყო და ნამდვილი მასწავლებელივით ეუბნებოდა:

— ბაბუა, ახლა ჩვენ ვცხოვრობთ იმ ქვეყანაში, სადაც ყველამ უნდა იცოდეს წერა-კითხვა.

ბაბუას გულში გაეცინა, მაგრამ შვილის ხათრი არ გაუტეხა და დინჯად უთხრა:

— დიდ სიკეთეს მიზამ, ბატონცემულო მასწავლებელო, თუ გამანათლებ.

მაგდა მკვირცხლად ჩამოხტა სკამიდან, უჯრიდან თავისი ცოცხალი ანბანი ამოიღო და, როგორც ნინო მასწავლებელმა, ასო «ა» დაანახვა ბაბუა თედორეს.

— დაუკვირდი და დაიხსომე, ბაბუა, ეს არის «ა»... გაიმეორე!

ბაბუამ ის მისი ხელით არა ერთხელ გაკეთებულ ნამგალს შეადარა და თქვა:

— ააა...

შემდეგ ცხენის ნალის მსგავსი მუყაო ასწია მაგდამ და დაიძახა:

— ეს არის «ი»!

— იი... — გაიმეორა მჭედელმა.

იმ დღეს კარგა ხანს იმეცადინეს ბაბუამ და შვილიშვილმა.

ერთხელ ნინო მასწავლებელი ბაბუა თედორეს სამჭედლოში მივიდა, ზედ გრდემლზე დაუფინა ქალაღლი და უთხრა:

— თედორე ბაბუა, ეს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მომართვაა. აქ წერია, რომ მომავალში ომი არ უნდა მოხდეს და ვისაც ომი არ უნდა, ყველამ ხელი უნდა მოაწეროს. შენ კი წერა-კითხვა არ ისწავლე... რა გაუწყობა, ჯვარი მაინც დაუსვი აი, ამ ალაგას, — და ნინომ თითოთ აჩვენა ის ადგილი, სადაც ბაბუას ჯვარი უნდა დაესვა.

თედორემ გაიღიმა, კალმისტარს მარჯვედ ჩაავლო ხელი და თქვა:

— ჰე... ჰე... ვინ მოვასენათ, რომ არ ვისწავლე, — და თავისი სახელი და გვარი მოაწერა.

— როგორ, ბაბუა თედორე, წერა-კითხვა უკვე ისწავლე? — გაოცდა ნინო მასწავლებელი.

— ვისწავლე მაგდა მასწავლებლის წყალობით, — ღიმილით უთხრა თედორემ.

ნინო ასეთ მასწავლებელს არავის იცნობდა.

— მაგდა ვინ არის? — იკითხა მან.

— ჩემი შვილიშვილია, შენი მოწაფე, — განუმარტა თედორე მჭედელმა.

მას შემდეგ მაგდას თვითონ მასწავლებელიც კი «მაგდა მასწავლებელს» ეძახდა



# „გარსა კობანა“

არაღი აქირდულა!  
გზობმა გადაკბამ  
მათი ვა და ვილი,  
და შორიდან წყნათეს  
ჯერ ერთმანეთს თელი.  
ჯერ ერთმანეთს ახ იქნობენ  
და განჯივ დანან.  
მაგრამ ცელეებს ქუჩას რახა  
შეამტებთ განა?  
აქრეს ხელი, და ქუჩებზეც  
აქირდულენ შუბრ  
თავსაღწეოთ წიბობათ,  
ველი ზუსად უცებთ.  
შემდეგ რგნომ შეამწია  
და ჯობს სტაცა ხელი.—

ზურაბს შუამ შეამტებელი  
პყვედა ჯობს ცხენი!  
შთაღლი დღეში გამოსაცდენ  
ცხენი შრავადევათი...  
და მგზობლის კარზე ახლა  
ზურაბს დარსა თელი.  
ხედავს გზისპირ დაცხილდ სივას  
სულმ ხაზეს რგნო,  
და თვითონაც შემობინა  
სილა რაგორაც გზო!  
კოტა ხე-ტყე შოგორივც,  
ვე-ფერი კოტა,  
და მოცენული გზობში  
ჩაღვას თითო იდა.  
სამილიკოდ აფურს ექვავედ,  
შოლად მოაქეთ ხელი.

**3** ამავე სასკოლო  
ამ გორაკზე მოხდა,  
სადაც ორი აგარაკი  
დგას კოშკივით კობტა.  
სადაც ორი ქოშკარია,  
იზი შქენე ვიო,  
ორი პიტი თამბოროსა:  
ზურაბი და რგნო.  
წილის პატი რომ შეფიოდა  
და დაშვენიდა ხელივით,  
ამაღისიდან ირავინი  
აქ აღმოჩნდნენ დილით.  
სურდათ ერთად თამაშით,  
გრადიდ რგნეს სურდათ.—  
სურვილი კი მოხელის უხელ


„მეტი“ № 6-ში მოცემულია ჩემთვის ამბობს  
„ჩემგან“ შიდათ, კარად დარგინი, იქამბედეხსა!

და სახლ-კარს სკოლარი,  
აგარაკის მესვენი,  
იღველო იმე შემოღობენ  
არტყამსებელ იფნიო,  
რომ მაღ-ღონეც დავლით  
ერთმანეთს ჯობითა.  
რა უოფელა სიხარბე და  
წამხელური თელი,  
იოცე ჯობის გაიტაცებს  
ვი მიხი პრადი!  
გამართა წელიში რგნო  
თავმოწინედ ახლა,  
და ზურაბიც თამართა  
ერთი გოჯით შიღლი.  
ერთსაც უნდა, მეორესაც

შეთი დესახლის,  
და უფრო დარსეს  
დიდი დობის ახლოს.  
შულზე უნდა ვევილიცენ  
გაუფრინდით ველი:  
—რომელ სახლს ახ დაშვენდეს  
ახლად გაღარდელი!  
—რომელი თელი ახ გამარბეს  
—მიხი ახლო ცქრას!—  
ორივ ერთი გაიტაცებთ  
ვევილის დეფტერა  
ამ დროს უნდა სკოლარი  
ღეჭილ დახელური,  
ერთს ვევილის ვევი ზურას  
და მეორეს—ღეჭიო!  
აღვდა ავი მგზობლეებს

დაცა თავსატეხი,  
რგნომ დილით აშენებულ  
სახლ-კარს გაქრა ვფხი!  
და ზურაბმაც დაავება  
მგზის გზოში მტეერი—  
აგარაკი სურხილა,  
სურხილა ზური...  
რა უოფელა სიხარბე და  
წამხელური თელი!  
იოცე ჯობის გაიტაცებს—  
ვი მიხი პრადი!  
რაა, ახა, სახარკოდ  
ვეამართა კომ განა?  
ჯობდა სული ახ თამაშით  
აგარაკობანა!

სანტა L. კობახიძის





# სურნელები მღვანეში

საბავშვო ჟურნალი



ქ მ შავი ხალხი ვეზს სურნელები მჭია. ჩინი მჩველ დახმალეს და ზღა-  
ბილ მკოცნებს ადრის ადრ გზით. ვერგებენ ხარ ხედავ  
იხუ ემბოხი აფის მყენს. ა, ვადედა ზღის, ადრის აფის ქარანი და უნა სურნელებ ადრ. ვერგებენ მია ენის აფ ან, სურნელებ იქი ვეზსებნი  
და აფის ჭრის ვადედა. ან ვადე კარკარებელი სურნელებ—ქლოლიც მკენს აფის ქარის აფად-მკოცნებს. ეს ანადი კ ზღ ვეზ ადრ ხადე.



ს სურნელები ხალხს მკოცნებს.

ქ აფი, სურნელები მჩველი აფის მჩველი ს-  
ადრ, მჩხ ვადედას აფილი ადრის მია  
კარკარი მჩხ.



ქ აფის აფის მჩველი კარკარი აფის მჩ-  
ადრ და კარკარი.



ქ ა, აფ დრის მჩხ სურნელები აფის ქ-  
არანი და ვადედას მჩხ მჩხ სურნე-  
ლებ კარკარი და მჩხ ვადედა.



ზეზვია, ძმაო, ზეზვია  
მთელი თუშების ფარია,  
თუ გაზრდის, ფურმა გაზარდოს  
ე მაგისთანა ხარია!

ვაჟა ფშაველა



# ზეზვა კატრინდაული

არსებობს ელენია

ნახატები ზარბ ლაქაპასი

თუშეთის ერთ ლამაზ ხეობაში არის სოფელი ვაკისძირი. ამ სოფელში დაიბადა სახალხო გმირი ზეზვა კატრინდაული.

პატარაობიდანვე უყვარდა ზეზვას ისრის სროლა, ცხენჯოხით ჯირითი, ჩოგბურთი და რიკჯოხით თამაში, მაგრამ უფრო მეტად უფროსებისა და მოხუცების მოსმენა უყვარდა, განსაკუთრებით კი ჩაღხო მკვდლისა.

ჩაღხო მკვდელი მთელ თუშეთში იყო განთქმული. დღედაღამ იდგა სამკვდლოში და იარაღს სტყვდა.

— ჩაღხო პაპა! რატომ სულ ხმლებსა და ხანჯლებსა სტყვდავ, ვის სჭირდება ამდენი? — ჰკითხა ერთხელ პატარა ზეზვამ.

— ვეჰ, შვილო! — ამოიოხრა მოხუცმა, — თუშეთი დიდი ქვეყანაა, კიდევ უფრო დიდია მისი დედა საქართველო, მაგრამ მტერი ქვი-

შაზე მრავალია და ცრემლი — წვიმაზე მეტი. იმ მტრის მოშორებას უნდა ამდენი ხმალი, შუბი, ფარი და ჩაქანი...

ერთხელ ზეზვას ბიძას მთიდან ცხენის ჯოგი ჩამოუჩვენეს.

ხალხმა ქამანდებით შეუტია გაუხენდავ ულაყებს. მათ შორის ყველაზე მეტად ჩაღხისფერი საღარი ცხენი ავობდა. ის იყო ხუთი ნასროლი ქამანდი აიკდინა, რომ ზეზვამაც მოიბრინა. ესროლა ქამანდი და გადაუგდო ყელზე. მერე ზურგზე მოეჭვა. იწყინა საღარმა, ეს რა მაკადრაო. გაქანდა ზევით მთისაკენ, სადაც ღრმა ხეობაში მიჰქუხდა შმაგი მდინარე. შეწუხებული ხალხი საღარის მოღარულ კვალს გაეკიდა.

— აი, აქეთ გაუვლია!

— აი, აქეთ! — იძახდნენ ისინი.

მიადგა კვალი ხევის პირს და გაჭრა. ვიღ-  
რე ხალხი ხეზე გადასასვლელს მოძებნიდა,  
ზეზეაც გამოჩნდა. თავქვე მოუძღვებოდა  
ახალგახდენილ საღარს. ცხენს ფეხები ეკეცე-  
ბოდა და ოფლი წვეთ-წვეთად ჩამოსდიოდა.  
ზეზეც ცხენი ბიძის მიჰგვარა.

— საღარი დღიდან შენია, შეილო, შენ-  
თვის მიჩქვნია, — უთხრა ბიძამ.

იმ დღიდან ზეზე და საღარი ცხენი ერთ-  
მანეთს აღარ დაშორებია.

დიდი ხანია ერთი სათხოვარი ჰქონდა  
ზეზვას ჩალობა მჭედელთან. ბოლოს გამოუტყ-  
და, შენი ნაჭედი ხმალი მინდაო.

— რამდენი ხმალი გაქვს, ვაჟო, — უპასუხა  
მოხუცმა, — მამაპაპისეული, ყაჩაღებისათვის  
წართმეული, წინ ვინღა დაგიღებდა? შეკაზმე  
შენი საღარი, ჩაიციე ჯაჭვის პერანგი და  
მიეშველე ქვეყანას.

— არა, ჩალობა პაპა, ყაჩაღის ხმალს ხელ-  
ში არ დავიკერ, თქვენი ნახელავი მინდა.  
მეც მოგეშველები.

— კარგი, ბალოო, კარგი. აი, ახლავე  
ავადულზე შენ სახელზე რკინას, — თქვა მო-  
ხუცმა და ქურასთან მივიდა დიღინით:

ხმალო, შორს გასწვდი, გამიკერ,  
არ დაგვეღვევა საგძალი,  
რომ იფქლის ყანას მშვიდობით  
დაუტრიალდეს ნამვალნი...

საქართველოს იმ ხანებში დიდი განსაც-  
დელი აღდა თავს; ირანის შაჰმა მოაოხრა  
ქართლ-კახეთი და ბახტრიონის ციხე-სიმაგრე-  
ში თათრების ჯარი დააბანაკა.

ზაფხულის ერთ დღეს ზეზე სათიბს იყო  
გასული. ამ დროს ორი უცხო კაცი მიად-  
გა. ისინი კახეთიდან გამოგზავნათ და დაე-  
ბარებინათ:

— კახეთი მტრის ნიაღვარმა წააღვეს. თუ  
საჩქარო სამუშაო ჰქონდეს ზეზვას, აი, ეს  
ოქრო მიართვით, მაშველი აიყვანოს, თვი-  
თონ კი წამოუსვლელი ნუ დადგებაო.

— ეგ ვერ მოსვლიათ კარგი თქვენს  
უფროსებს. ჩვენ კაცობას ოქროზე არ  
ვცვლით, — ეწყინა ზეზვას, — მთას ბარზე უდ-  
გას ძირი და როცა ძირს მოუტრღვევენ, ისიც





წამოიქცევა. ახლავე მოვლივართ, აღარ დავა-  
ყოვნებთ.

თუშ-ფშავებესურთა ლაშქარი ლეგა ნის-  
ლივით ჩამოწვა მთის ფერდობებზე. ბარის  
მეომრები კი ტყეებში იყვნენ ჩასაფრებულ-  
ნი და იქ უცდიდნენ მთიელთა ნიშანს. ქარ-  
თველთა ჯარი ბახტრიონს ოთხზე მხრიდან  
შემოერთა. გაჩაღდა ძლიერი ბრძოლა. ქარ-  
თველებმა აიღეს ციხე და მთლიანად გაწყვი-  
ტეს შტერი.

გამარჯვების შემდეგ ყველა სახელოვანი  
მეომარი დააჯილდოვეს. ზეზუასაც ჰკითხეს,  
რას ისურვებო.

— აი, ამ ბახტრიონის ქვევითა მინდორზე  
მთელი ძაღლონით გავაქცევ, ჩემს თეთრონ  
მანძილას და სადამდეც გაიქცევა, ის ადგი-  
ლი თუშებს მიეცით,—უბასუხა ზეზუამ.

— აღსრულდეს თხოვნა გმირისა,—იყო  
თანხმობა.

ამხედრდა ზეზუა თავის მანძილაზე და ისე  
გააქცია, კაცს ვგონებოდა, გაფრინდაო.

მანძილამ ტახტიგორს მიაღწია თუ არა,  
დაეცა. ზეზუას კი იმ ცხენით გარბენილი  
მინდორი უსახსოვრეს. იმ ადგილს ამჟამად  
აღვანი ეწოდება და თუშები ცხოვრობენ.

დღეს აღვანში ამაყად დგას ზეზუა გაფრინ-  
დაულის ძეგლი, რომელმაც ხალხმა აუგო მას.

პირე მინელი ნახატები გელა სხალაძისა

# ამპარგაპანი გელაქულა



ულრან ტყეში, სადაც სხივი  
ვერ აღწევს და ბნელა მუდამ,  
იყო ერთი მარტოხელა  
და ობოლი გელაქულა.  
უმეგობროდ, უშმაკაცოდ  
გაატარა ხუთი წელი,  
არ უოფილა არც სტუმარი,  
არც არავის მასპინძელი...  
ზოლოს ასე გადაწყვიტა:  
— წავალ, იქნებ ვინმე ვნახო  
ღირსეული ამხანაგი,  
მეგობარი საამაუო!

ერთ კალაში რომ შევიდა,  
შეიკუმხნა უცბად წარბი:  
როგორც ბურთი, მის წინაშე  
ეკლიანი ეგდო ზღარბი.  
— ეს რა კეჟის ცხოველია,  
არც პირი აქვს, არც თვალი აქვს,  
ვისაც მასზე ცუდი უთქვამს,  
ყველა ცამდე მართალია!  
აჰ მახინჯთან ვიმეგობრო,  
ჩემს სახლში მან დადგას ფეხი?  
უმალ მიწა გამსკდომოდეს,  
დამცემოდეს თავზე მიხი!—

ნეტავ ეს რა ხმაურია?  
ვილაც სადღაც აკაკუნებს...  
ეს კოდლა ჩაქუნს ურტყამს,  
ციყვი კაკალს აქნატუნებს.  
— ციყვო, ჩამო, დაბლა ჩამო,  
მეგობრობის დავდოთ ფიცი,  
ხეზე ხტომა, უქმად ჯდომა  
არ გიხდება, რად არ იცი?—  
როგორ ფიქრობთ, ციყვნია  
ამ სიტყვებში გაახარა?  
ელაქულას ზედ ცხვირ-პირზე  
ნაქულები დააყარა!







— ამ უზრდელთან ვიმეგობრო,  
ჩემს სახლში მან დადგას ფეხი?  
უმალ მიწა გამსკდომოდეს,  
დამცემოდეს თავზე მეხი! —  
მელაკუდამ გზა განაგრძო...  
აი, ბუჩქში კურდღელს სძინავს.  
— გამარჯობა, ტურცმაცუნავ,  
მშვიდობა შენს მუუღრო ბინას!  
გამო გარეთ! ვისეირნოთ.  
მეგობრობის დავდლოთ ფიცი,  
შენ თუ იცი ძმაკაცობა,  
ცოტაოდენ მეც კი ვიცი! —  
ბილიკ-ბილიკ სეირნობენ  
კურდღელი და მელაკუდა,  
ორი მოძმის ერთად ყოფნას

ვინც უცქერდა, ევლას შურდა.  
მაგრამ აი... ცხრა მთას იქით  
მონადირემ დაჰკრა ბუკი,  
და გრძელყურას შიშისაგან  
გულმა უწყო ბაგაბუვი,  
თვალზე ცრემლი, ცხარე ცრემლი  
გაღმოსცვივდა ლაპალუპით...  
აქ მელიამ დაიძახა  
მაჰყად და თანაც ევებნით:  
— ასეთ მხდალთან ვიმეგობრო,  
ჩემს სახლში მან დადგას ფეხი?  
უმალ მიწა გამსკდომოდეს,  
დამცემოდეს თავზე მეხი! —  
ის სულელი მელაკუდა  
მუხის ძირას ზის და ნადვლობს:





— ემ, ჩემს გულთან, როგორც ვატყობ, — შენ მეგობარს ვერ შეიძენ, სულაც ვერვინ მოდის ახლოს, რომ ობლობა დამავიწყოს და ცხოვრება გამიახლოს! — აქ კოდალამ მალლა ხიდან მელაკუღას გადმოხედა: — რა გაწუხებხს, შე ტუტუცო, ან რა დარდი გტანჯავს ნეტავ? — მელაკუღამ მოახსენა მოკლე სიტყვა, განა გრძელი, თუ რატომ არ მოეწონა ზღაბი, ციყვი და კურდღელი. კოდალას რომ ეს მოეხმა, ასე უთხრა მელაკუღას:

— შენ მეგობარს ვერ შეიძენ, ახ წელიწადს სძებნო თუნდაც; შენ ამ ქვეყნად ვერვინ ნახავ, რომ სიამით გიმეგობროს, რადგან ხედავ ამხანაგში მარტოოდენ ცულს და ბოროტს! — საცოდავი მელაკუღა ახლაც ისევ მარტო ცხოვრობს, როგორც ზღაპრულ ციხე-დარბაზს ისე უცქერს თავის სიროს. მაგრამ, აბა, რა უახი აქვს, თუ ოჯახში არვის ელი, თუ ტკბილად არ საუბრობენ სტუმარი და მასპინძელი!



# გამჭრიახი ღრუტუნა



აღმავალი ზღაპარი

ყო ერთი მოხუცი ცოლ-ქმარი. ღრუტუნას მეტი არაფერი ეხადათ. ღრუტუნა უოველ დღე ტყეში დაესეტებოდა და რკოს შეეცვაოდა.

ერთხელ ღრუტუნა ტვისაყენ გაუშურნ. ტვის ზინას მკელი შემოსვდა და ჰკითხა:

- საით გაგიწევიან, ღრუტუნა?
- ტყეში მივდივარ რკოსე!
- სომ არ წამიყვან თან? იქნებ მეც რამე ვიპოვო ტყეში, — უთხრა მკელმა.

— კეთილი, წაჰიდეთ! ერთად უფრო გავერთობით. მაგრამ გზად ორმო შეგვსვდება და ვაითუ ვერ გადახსტე!

მკელმა გაიცინა:

— ეგ იოლი საქმეა. გავუქნები და ხელად გადავხსტები!

მიუიღწენ ორმოსთან. მკელმა ასე დანხდა, შეშინდა და დორს უთხრა:

— ჯერ შენ გადახსტი!

— ეგ შენთვის უარესია, — მიუგო ღრუტუნამ: — ჩლიქებით ორმოს ნახორებს ჩავენგრე, უფრო გაფართოვდება და მერე ვეღარ გადახსტები.

მკელი მთელი ძაღლივით გაქანა, ახტა და ორმოს ფსკერზე მოადინა ზღარ-თანია... ღრუტუნამ კი ორმოს შემოუარა, ტყეში რკოს ჭამით გული იჯერა და



საღამოს კმაყოფილი დაბრუნდა შინ.

მეორე დღესაც გახსნა ღრუტუნამ ტეისაკენ. ახლა წინ დათვი შემოეყვარა:

— საით მიემუწრები, ღრუტუნავ?

— ტეეში მივდივარ რკოზე.

— მეც თან წამიყვანე, — სთხოვა დათვი,  
მა, — დიდი ხანია, რკო არ მიჭამია და ჰირს ჩავიკებრიელებ!

— ვგრე ივოს, — მიუვო ღრუტუნამ, — ორნი უფრო გავერთობით. მხოლოდ იცოდე: გხსე დიდი ორმოა და ვაიუ ვერ გადახსტე!

— ჩემი ნუ გედარდება! მე უოველნიარ ორმოს გადავხსტები!

მივიდნენ ორმოსთან. დათვი ახტა და ჰირდანირ მიე ჩავარდა. ღრუტუნამ კი ორმოს შემოუარა, ტეეში რკოთი გამოიღა და საღამოს შინ დაბრუნდა.

ტეეში სიარულმა ბოლოს ისე გახსუქა ღრუტუნა, რომ ჰატრონებმა მისი დაკლა გადაწყვიტეს. ბერიკაცმა დანა გალესა და ღრუტუნა დაიჭირა. მკვრამ ღრუტუნა ხელიდან გაუსხლტა და ტეისაკენ მოჰკურცხლა. ჰატრონი დაედევნა. ღრუტუნამ მიიბრინა იმ ორმოსთან, რომელმაც მკელი და დათვი ჩავარდნენ და გარშემო დაიწყო სირბილი. ბერიკაცმა ორმოში ჩაისედა და ძალზე გაისარა. მოჰკლა მკელი და დათვი, გახტევა და ამ ტეავებში ბლომა ფული აიღო.



— ეს სიმიდირე ჩვენმა ღრუტუნამ მოკვიტანა, — უთხრა მან ცოლს. ჰოდა, გადაწყვიტეს, აღარ დაეკლათ ღრუტუნა, იქნებ კიდევ სხვა სიკეთეს გადაგვაროსო.

თარგმნა ფატი ნიწიანაძემ  
ნახატები გაირო უოსნიგვილი

ყულის მხატვრობა გეგუენის გრაფიკით

რედაქტორი იოსებ ნონეშვილი. სარედაქციო კოლეგია: ი. გრიშაშვილი, კ. გოგიავაძე, მ. ავაჯალაძე, მ. ნონეშვილი (რედაქტორის მოადგილე), ი. სიხარულიძე, ნ. უნაშვილი, შ. ცხადაძე (სამხატვრო რედაქტორი) ბამიციის ოცდამეცამეტი წელი შანი 2-ბან.

ტექ. რედაქტორი ი. არღვილი რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ დაუბრუნდებათ



# თინა და ჩიტები

ქვემოთაა  
თინა და ჩიტები

თავაზ მათიკინაძე

თინამ ტუეში წაიღო  
ზანაწინა კალათა,  
შედგა ბებერ მუხასთან,  
იქვე მოიკალათა.

დაფაცურდნენ კვებები:  
— არ გაფუშვით ნაწუენი,  
და აფუქსით კალათა  
სულ წითელი მარწუკებით. —

თინა რომ დაინახეს,  
დაეხვიენენ შაშვები,  
უთხრეს:— შენ რომ მოხველი,  
რა უფავი ბაშვები?! —

— მანატრეთ, ჩიტებო,  
ცოტა ხანი დატვათ, —  
თქვა თინამ და ბაშვების  
მოსაფუნად ვაიქცა.

ნახტი გ. ჟონინაძისა

